

ბიზნესის განწყობის ინდექსი

ბიზნესები კარანტინში


-53.0

შემცირდა

II კვ 2020

კვლევაში მონაწილე კომპანიები

დიდი მცირე და საშუალო




35



123

კვლევის ძირითადი შედეგები



● ბიზნესის განწყობის ინდექსი
 ● ბიზნესის მოლოდინების ინდექსი
 ● მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი
 ● გასაყიდი ფასების მოლოდინები

- 2020 წლის II კვარტალში ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI) 53.0 პუნქტით შემცირდა და ისტორიულ მინიმუმს, -27.2-ს მიაღწია. ბიზნესის განწყობა გაუარესდა ყველა სექტორში, ყველაზე დიდი კლებები ვაჭრობის და სერვისის სექტორებში დაფიქსირდა. BCI-ის შემცირება განაპირობა როგორც მიმდინარე საქმიანობის ნეგატიურმა შეფასებამ, ისე მნიშვნელოვანად შესიმისტურმა მოლოდინებმა.
- მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი, რომელიც კომპანიების მიერ გასული კვარტლის განმავლობაში საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას ეყრდნობა, 2020 წლის II კვარტალში 55.5 პუნქტით შემცირდა. მიმდინარე მდგომარეობის ყველაზე დიდი გაუარესება მომსახურებისა და სოფლის მეურნეობის სექტორებში დაფიქსირდა.
- 2019 წლის III კვარტალში მკვეთრი ჩავარდნიდან გაუმჯობესების შემდეგ, ბიზნესის მოლოდინების ინდექსმა, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად ოპტიმისტურად არის განწყობილი ბიზნეს სექტორი მომავლის მიმართ, ყველაზე დიდი გაუარესება აჩვენა და ისტორიულ მინიმუმს -41.4 პუნქტს მიაღწია. 2020 წლის II კვარტალში მოლოდინების გაუარესება ყველა ეკონომიკურ სექტორში დაფიქსირდა.
- გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი ყველაზე ნაკლებად შემცირდა, თუმცა მანაც ისტორიულ მინიმუმს (-5.3) მიაღწია. ეს მნიშვნელობა გვიჩვენებს, რომ 2020 წლის I კვარტალში ბიზნესების უფრო დიდი წილი ელოდება ფასების შემცირებას. ფასების ზრდას მხოლოდ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სექტორში ელოდებიან.
- თუ ინდექსებს საწარმოთა ზომის მიხედვით ჩავშლით, შევნიშნავთ, რომ ბიზნეს განწყობის, მიმდინარე მდგომარეობისა, ბიზნესის მოლოდინების და გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსები შემცირდა როგორც დიდი, ისე მცირე და საშუალო კომპანიებისთვის.
- ბიზნეს საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან შემზღვეველ ფაქტორებად როგორც დიდი, ისე მცირე და საშუალო ზომის ფირმები, კვლავ მოთხოვნის და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სიმცირეს ასახელებენ. 2020 წლის II კვარტალში დამატებითი შეზღვევათ "სხვა" ფაქტორებიც გამოვლინდა, რაც შეიძლება COVID-19-ის პირობებში საგანგებო მდგომარეობის შეზღვევებზე მიუთითებდეს.

(*): ბიზნესის განწყობის ინდექსი იცვლება [-100; +100] შკალაზე. ინდექსის სიდიდე გვაჩვენებს გამოკითხული რესპონდენტების დადებითი და უარყოფითი პასუხების შეწონილ ბალანსს. თუკი გამოკითხული ბიზნესების 100% იქნება პოზიტიურად განწყობილი, მაშინ ინდექსი გაუტოლოდება 100-ს. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი უარყოფითად არის განწყობილი. თუ განწყობის ინდექსი გაუტოლოდება 0-ს, ნიშნავს, რომ დადებითად და უარყოფითად/ნეიტრალურად განწყობილი ბიზნესების განაწილება თანაბარია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მეთოდოლოგიური შენიშვნები).



ბიზნესის განწყობის ინდექსი

ბიზნესის განწყობის ინდექსი სექტორების მიხედვით, წლიური ზრდა

მცირე და საშუალო



დიდი



სექტორი	კვ II/20	ცვლილება
მრეწველობა	14.5	▼ -11.0
მშენებლობა	-15.0	▼ -30.9
ვაჭრობა	-30.8	▼ -69.8
მომსახურება	-42.1	▼ -64.7
სოფლის მეურნეობა	19.3	▼ -30.8
საფინანსო სექტორი	-33.3	▼ -39.7
სხვა	-26.9	▼ -60.2

მოთხოვნის სიმცირე და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა კვლავ ყველაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლებებია როგორც დიდი, ისე მცირე და საშუალო ზომის ფირმებისთვის. 2020 წლის II კვარტალში დამატებით შეზღუდვად "სხვა" ფაქტორებიც გამოვლინდა, რაც შეიძლება მიუთითებდეს COVID-19-ის პირობებში საგანგებო მდგომარეობის შეზღუდვებზე.

ბიზნეს საქმიანობის შემზღუდველი ფაქტორები II კვარტალი, 2020 წელი

